ძველი თბილისის ძველი ქუჩები

352 220

287 1 220

287 1 220

ХРА

16 01 2025

13.

მიმოხილვა

კოლხიდის დედა-ქალაქის ლიტერატურული ახალგაზრდობა

ფოთის გაზეთის „მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქცია სასარგებლო საქმეს აკეთებს და დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა დამწყებ პოეტებს, როდესაც მათ შემოქმედებითქმის ყოველთვიურად ლიტერატურულ გვერდს უთმობს. შედეგიც უთუოდ მისასალმებელია.

1940 წელს ლიტერატურულ ფურცლებზე დაბეჭდილი ახალგაზრდა ავტორები თავიანთი ლექსებით ცხადყოფენ, რომ ფოთში, კოლხიდის დედა-ქალაქში, თანდათან იზრდება ბირთვი ლიტერატურული ახალგაზრდობისა. გადაათვალიერეთ გაზეთის ლიტერატურული ფურცლები და აუცილებლად დაინტერესდებით აკაკი თოფურიას ლექსებით. მის შემოქმედებაზე უკვე თამამად შეგვიძლიან ვიმსჯელოთ. თოფურიამ გზა პოეზიაში სწორედ იმ გზით აიღო, რითაც უნდა მიდიოდეს დღეს ახალგაზრდა შემოქმედი. ეს არის გზა დღევანდელი ეპოქისა ახალი ცხოვრების ასახვისა რეალისტურ ფორმებში. ყურადღებას იქცევენ მისი ლექსები — „გმირი და სიყვარული“, „საახალწლო სიმღერა“ და „ლენინი ქოხში“. სამივე ლექსი ტემპერამენტით არის დაწერილი. ავტორი გმირს ცოცხლად გვიხატავს. მისი გმირი დიდი ეპოქის ხამდვილი ადამიანია, საშშობლოს სიყვარულით აღუზნებული:

„ჩემო კარგო! გმირობაა
ამ ცხოვრების შთაგონება,
წინ მიგვიფრენს „სტალინისთვის!“
დაძახილის ჯაგონება.
საზღვრის პირად, წყლის გაღმიდან,
სრულით ბეერჯერ ამაღლებულს,
საშშობლოსთან ომი სურდათ
ბოროტების განმწარახელებს,
— მკერდით მკერდი დავიცავი
და ძეგუნი ვასახელე“.

საშშობლოს სიყვარულთან ერთად გმირმა სხვა სიყვარულიც იცის. ამ მხრივაც ახალგაზრდა ავტორი აღწევს სრულ ზომიერებას საღებავების შერჩევაში და გრძნობით გადმოგვცემს მიჯნური გმირის განცდებს:

„გმირი რომ ვარ, სიყვარული
ალარ უნდა გინა ჩემს, გულს,
ახალგაზრდულს, საშშობლოსთვის
დაბადებულს, ზრდილს და ერთგულს?!“

და შემდეგ:

„ვინ დამმრახავს, ვითხრა მტკიცედ:
„შეგრანო ელვისთანა!
ჯერ შე ბასად არ მინახავ
ქალიშვილი შენისთანა!“

კარგია ლექსი „ლენინის ქოხში“, სადაც ავტორი მოგვითხრობს სოციალისტური რევოლუციის დიდი ბელადის ლენინის არალეგალურ ცხოვრებას ქოხში 1917 წელს, სადგურ რაზლივის მახლობლად.

აკ. თოფურიას დაბეჭდილი აქვს აგრეთვე ლექსები: „აკაკი საკანეში“, „ლექსი, თქმული შადრევანთან“, „ტრიბუნაზე მდგარ ახალგაზრდა დეპუტატს“, „სურგილის ტალღა“ და სხვა. ამათგან ოკანასკნელი სამი ლექსი ისეთ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს, როგორსაც წინანდელი მისი ლექსები. „შადრევანთან თქმული ლექსი“, რომელშიც ავტორი ახალგაზრდობის „ზნეობის საკითხს ეხება, საინტერესოდ არის მოფიქრებული, მაგრამ მეტად გაჭიანურებულია ლექსი „ტრიბუნაზე მდგარ ახალგაზრდა დეპუტატს“ გაუმართავია და რითმიულად სუსტი. საერთოდ კი აკაკი თოფურიას ლექსები საფიქრალს გვაძლევენ ვსთქვათ, რომ იგი სულ მალე ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტთა რიგებში ჩადგება.

„მგზნებარე კოლხიდელის“ ლიტერატურულ ფურცლებზე სისტემატურად ლექსებს ბეჭდავენ აგრეთვე ახალგაზრდა ავტორები: შალვა ჩეშია, ხუტა ლოლუა, ალ. თოფურია, არისტრან ქოიავა და სხვ.

შალვა ჩეშიას აქვს რამდენიმე მოსაწონი ლექსი, მათ შორის „წვეულებამდელის სიმღერა“, მაგრამ ამ ლექსებში, მაგ., „ჩიტუნია“-ში, იდეა, გაანერება ავტორისა ბუნდოვანია. ავტორი უნდა ერიდოს განყენებულ თემებს და ლექსებს, თემად დღევანდელობა უნდა აიღოს. ჩიტუნია, ვარდის კოკრები, ელეონორას განყენებული მშვენება უნდა შესცვალონ ცოცხალმა ადამიანებმა, სოციალისტური შრომის, საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავეებმა, ახალი კოლხიდის მშენებლებმა.

განყენებულ სიყვარულს და აბსტრაქციულ სილამაზეს დაუმორჩილებია აგრეთვე ახალგაზრდა ავტორი ხ. ლოლუაც და ისე ძლიერად, რომ ავტორმა არ იცის, როგორ ადიდოს, რაზ შეადაროს და როგორი ფერებით დახატოს სიყვარულის ძალა.

„გულს სინათლის სვეტად ჩამოეშვერ,
გაავარდე სამიჯნურო ოცნება“...
ან:
„აი, მზეო! ჩვენი გარეგის ნაყოფი
აზვინულა სიყვარულის ბორკილებად“.

ყურადღებას იქცევს ხ. ლოლუას ლექსი „სტუმრად მიაკოვსკის საშშობლოში“.

„მგზნებარე კოლხიდელის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ლექსებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ახალგაზრდა ავტორის ალ. თოფურიას ლექსი „სტუმარი“, სადაც ავტორი საინტერესოდ გადმოგვცემს ბელადის სტუმრობას კოლხიდაში 1932 წელს და დღევანდელ კოლხიდის საზეს.

აყვავებულ ბალნარად ჩქეულ კოლხიდის დედა-ქალაქში საკმაოდ მოიპოვებიან ლიტერატურული ძალები. ისინი სწერენ იმ საგმირო ამბებზე, რომლებიც ხდება განახლებულ კოლხიდაში, ახალ ადამიანებზე, რომლებიც სოციალისტურ აშენებლობას ბოლშევიკურად ხელმძღვანელობენ.

ალ. ბიბინოშვილი.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 1941, 13 ივნისი,
№ 24 (183)